სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/56

ქ. თბილისი 7 ნოემბერი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი სამეცნიერო-სასწავლო ხიდსაცდელი ცენტრის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 4 ნოემბრის სხდომის №11 ოქმის, აკადემიური საბჭოს 2025 წლის 6 ნოემბრის №01-05-04/178 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 7 ნოემბრის №01-06-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო ხიდსაცდელი ცენტრის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 6 ნოემბრის №178 დადგენილებით გათვალისწინებული ცვლილებები.

2. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2011 წლის 2 მარტის სხდომის №6 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო ხიდსაცდელი ცენტრის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დებულების:

ა) 2.1 პუნქტის შემდეგ დაემატოს 2.1^1 და 2.1^2 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1^1. 2.1. პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის გარდა ცენტრი ახორციელებს დამკვეთისათვის სამეცნიერო-კვლევით და საექსპერტო-საგამოცდო სამუშაოებს შემდეგი მიმართულებებით:

ა) ელექტროტექნიკური მოწყობილობები (3–500 კვ); საკომუტაციო ელექტროაპარატურა. ელექტრომოწყობილობები (3–500 კვ); ელექტრული ძრავები და გენერატორები; იზოლირებული გამტარები და კაბელები; ელექტრული დენით დაზინებისაგან დაცვის საშუალებები; ელექტრომაგნიტური თავსებადობა; ნავთობპროდუქტები;

ბ) სამშენებლო ობიექტზე გამოყენებული მასალების ხარისხზე საექსპერტო დასკვნების მომზადება, შენობა-ნაგებობების და კონსტრუქციების გამოკვლევების განხორციელება;

გ) სამოქალაქო და სატრანსპორტო კომუნიკაციების მშენებლობაში დაკავებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება მოკლევადიანი სემინარის ფარგლებში და სათანადო სერტიფიკატის გაცემა;

დ) ძვირფასი (კეთილშობილი), ფერადი და შავი ლითონები და მათი შენადნობები; ტოქსიკური და ძვირფასი (კეთილშობილი) ლითონების შემცველი ორგანული და არაორგანული მასალები და მათი ნარჩენები; მადნები და კონცენტრატები; ძვირფასი (საიუველირო) და სანახელავო მინერალები (ქვები); მაგმური, მეტამორფული, დანალექი ქანები, მინერალები და ნიადაგები; გრუნტები და კლდოვანი ქანები; წყალი - ზედაპირული, მიწისქვეშა და გრუნტის გამონატუტი.

2.1[2]. ცენტრის სტრუქტურაში საქმიანობის მიმართულების შესაბამისად შედის შემდეგი დეპარტამენტები:

ა) ხიდსაცდელი ცენტრის საგამოცდო ლაბორატორიის ხიდსაცდელი დეპარტამენტი;

ბ) სამშენებლო მასალების საგამოცდო დეპარტამენტი;

გ) ელექტრომოწყობილობების, ელექტრომაგნიტური თავსებადობისა და ენერგეტიკული ზეთების დეპარტამენტი;

დ) გემოლოგიისა და მინერალურ ნივთიერებათა კვლევის დეპარტამენტი.".

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)

სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**